აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 31

18/09/2020 ქ. ბათუმი

საარჩევნო ბლოკში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2020 წლის 18 სექტემბრის №30 განკარგულების საფუძველზე, ვადგენ:

1. შეუწყდეთ უფლებამოსილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო ბლოკში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ გაერთიანებული შემდეგი პარტიების წარმომადგენლებს:

ა) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** წარმომადგენლებს **მარიკა აბულაძეს** და **ქრისტინე გურგენიძეს.**

ბ) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების **„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“** წარმომადგენელს **ირაკლი ჩავლეიშვილს.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე